საქართველო

ანტიკორუფციული ბიურო

თბილისი

13/12/2024

№ 00017005

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის
აღმასრულებელ დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2024 წლის 06 დეკემბრის განცხადების (რეგისტრაციის N00016515) პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ - ანტიკორუფციული ბიურო უზრუნველყოფს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შინაარსის საჯაროობას.

ასევე გაცნობებთ, რომ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს, მიიღოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის ასლი და გაეცნოს მას, გარდა ამ დეკლარაციაში აღნიშნული პირადი ნომრისა, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და ტელეფონის ნომრისა, თანამდებობაზე პირველად განწესებამდე პერიოდისთვის ან/და თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგი პერიოდისთვის მიკუთვნებული ამ კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა და დეკლარაციის საიდუმლო გრაფისა, აგრეთვე იმ თანამდებობის პირის დეკლარაციისა, რომლის თანამდებობას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საიდუმლოობის გრიფი აქვს მინიჭებული.

0114 თბილისი, ინგოროყვას ქ.N7
info@acb.gov.ge

დამატებით გაცნობებთ, რომ თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ერთიან ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებით, დღეის მდგომარეობით, არ განხორციელებულა ცვლილება.

პატივისცემით,

ანტიკორუფციული ბიურო
ადმინისტრაციული დეპარტამენტი
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი
თინათინ აზალაძე